შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი დგინდება მიღებული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
• შენობა-ნაგებობები	50 წელი
• მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10-20 წელი
• საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	4-8 წელი
• სატრანსპორტოს საშუალებები	4-10 წელი

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯი იმ დაშვებით, რომ აქტივი უკვე არის იმ ხნის და იმ მდგომარეობაში, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ნაყოფის მომცემ მცენარეებს, თხილის ხეებს, ნერგებს და დაუკრეფავ კულტურებს (თხილი). ნაყოფის მომცემი მცენარეები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები; ნერგები და დაუკრეფავი კულტურები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივები.

ნაყოფის მომცემი მცენარეები. ნაყოფის მომცემი მცენარეები განისაზღვრება როგორც ცოცხალი მცენარე, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ან მიწოდებაში, მოსალოდნელია, რომ ნაყოფს აწარმოებს ერთ პერიოდზე მეტჯერ და გააჩნია მცირე ალბათობა იმისა, რომ გაიყიდება როგორც სოფლის მეურნეობის ნაწარმი, გარდა შემთხვევითი მიზერული რაოდენობის გაყიდვებისა. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, საჭიროებისამებრ. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება ისევე, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები მანამ, სანამ ისინი არიან იმ მდგომარეობაში და პირობებში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელობის მიერ განზრახული გზით ოპერირება, სანამ ისინი არ მიაღწევენ მოწიფულობას. მოსალოდნელია, რომ კომპანიის თხილის ხეები სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას დაიწყებს დარგვიდან ოთხი წლის შემდეგ, თუმცა მაქსიმალურ მოსავლიანობას დარგვიდან შვიდი-რვა წლის შემდეგ მიაღწევს და ამ მომენტისთვის დაუსრულებელი ნაყოფის მომცემი მცენარეები გადავა ნაყოფის მომცემ მცენარეებში. მომწიფების მიღწევის შემდეგ, ნებისმიერი შემდგომი დანახარჯი გაიწერება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გაზრდის ნაყოფის მომცემი მცენარეების სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. თხილის ხეების ცვეთა გამოანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის - 50 წლის განმავლობაში.

ნერგები. ნერგები კლასიფიცირდება, როგორც მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ნერგების უმეტესობა იყიდება მესამე მხარეებზე. ნერგები აღირიცხება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მოსავლის აღებისას დადგენილი რეალიზაციის ხარჯი.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია. კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას წარმოადგენს თხილი. მოსავლის აღებისას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კლასიფიცირებულია გასაყიდ მარაგებში და თავდაპირველად ფასდება მათი რეალური ღირებულებით, გამოკლებული მოსავლის აღებისას დადგენილი რეალიზაციის ხარჯი.

მოსავალი, რომელიც ჯერ არ აღებულა. წლის ბოლოს, მოსავალი, რომელიც ჯერ არ არის აღებული, ფასდება შემდგომ პერიოდში აღებული ფაქტობრივი რაოდენობის საფუძველზე, სექტემბერ-ოქტომბერში. ჯერ არ აღებული მოსავალი ფასდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული დადგენილი რეალიზაციის ხარჯი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულების შემოსულობა თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგების ცვლილებებში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულებები მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება ბოლო გარიგებების საბაზრო ფასების საფუძველზე და მინიჭებული აქვს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონის კატეგორია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის საფასური მოსავლის აღების დროს განისაზღვრება გაწეული ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გახვისებას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟის მიერ აგენტების (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები), კონსულტანტების, ბროკერების და დილერების მიმართ გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (*„AC“*) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ ცვალებად განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC), რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს. ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით“ შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია: (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“); ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“); ან არც (i) და არც (ii) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით” (“FVTPL”), “რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (“FVOCI”) და ამორტიზებული ღირებულებით (“AC”). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელზე, და (ii) ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას (“SPPI”). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით სავალო ინსტრუმენტებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის გამოყენებას ყველა დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად დებიტორული დავალიანება ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფის ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება; ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულება, რომლითაც (i) გადაიცემა აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება; ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაიცემა და არც შენარჩუნდება, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. განმეორებით მოლაპარაკების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას („SICR“). კომპანია ასევე შეაფასებს, ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული (“POCI”) ფინანსური აქტივებისთვის) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“) შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული (“FVTPL”) ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. აღნიშნული ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე; და (ბ)უნდა იყოს იურიდიულად აღსრულებადი ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობისას; და (iii) გადახდისუუნარობისას ან გაკოტრებისას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება იმ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დებიტორული და სხვა დავალიანება. დებიტორული და სხვა დავალიანება თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კრედიტორული და სხვა დავალიანება. კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ხელშემკვრელი მხარე ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გაწეული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედი კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ე.წ. „აგროსილ“ ღირებულებაზე (ანუ წმინდა დივიდენდები აიგროსება 5%-იანი დაქვითვის გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2007 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას „აგროსილ“ თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე დაწესებულ ფაქტიური მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, ~ როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობითი დანახარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი იმ საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის პროცენტისა და ჯარიმების თვალსაზრისით შესაბამისად აღირიცხება ფინანსურ ხარჯებში და სხვა შემოსულობებში/(ზარალში), წმინდად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დავალიანების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. ზოგადად, გადახდილი დღგ ამოღებადია დარიცხული დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადახდილი დღგ, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების შეძენას, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი სარეალიზაციო ფასი, გამოკლებული დასრულებისათვის შეფასებული დანახარჯები და სარეალიზაციო ხარჯები. იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარჯი, რომელიც ბიოლოგიური აქტივიდან არის გადატანილი, წარმოადგენს მის რეალურ ღირებულებას, გამოკლებული მოსავლის აღების მომენტისთვის არსებული სარეალიზაციო ღირებულება.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და დაიქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული ვალდებულება შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც ადგილი ექნება დამავალდებულებელ მოვლენას, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი დამავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

მრავალი მსგავსი მოვალეობის შემთხვევაში, იმის ალბათობა, რომ საჭირო იქნება რესურსების გადინება ანგარიშსწორებისათვის, განისაზღვრება მთლიანობაში მოვალეობების კლასის გათვალისწინებით. კომპანია გაყიდული პროდუქციის, რომლის საგარანტიო ვადა არ არის ამოწურული, შეკეთების ან შეცვლის შეფასებულ ვალდებულებას აღიარებს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. აღნიშნული ანარიცხი გამოითვლება შეკეთებებისა და შეცვლის წარსული ისტორიის საფუძველზე.

როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაცემულია, ანუ საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის, მომხმარებელს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია მომხმარებელთან და მან მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების მდგომარეობა ამოიწურა ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 60 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი.

დავალიანება აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, ვინაიდან მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

თანამშრომელთა სარგებელი. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. გამოცემის შემდეგ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობა, რომელიც ამტკიცებს ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებების და დაშვებების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა წარმოადგენს აგრეთვე გარკვეულ დაშვებებს. ის დაშვებები, რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიამ 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის 39,108 ათასი ლარის წმინდა ზარალი განიცადა. კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდობა დამოკიდებული იქნება კომპანიის მფლობელის მხრიდან უწყვეტ მხარდაჭერაზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამგვარი მხარდაჭერა კომპანიას საშუალებას მისცემს განახორციელოს საქმიანობა პროგნოზირებად მომავალში ოპერაციების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე (იხ. შენიშვნა 23). შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც ეხება აღრიცხული აქტივების თანხების ანაზღაურებას და კლასიფიკაციას, ასევე იმ ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც შესაძლოა აუცილებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს გააგრძელოს ფუნქციონირება.

ბიოლოგიური აქტივების გაუფასურება. აქტივების ანაზღაურებადი მოცულობის დადგენა ნაწილობრივ უნდა ემყარებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებს, მათ შორის, სამომავლო წარმადობის, აქტივების მიერ ამონაგების გენერირების შესაძლებლობების და სამომავლო საბაზრო და გარემოსდაცვითი მდგომარეობების შესახებ დაშვებების შეფასებებს. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

დაკავშირებული მხარეების გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია აფორმებს გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. დაშვება გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. დაშვება ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. კომპანიამ მფლობელისაგან აიღო უპროცენტო სესხი, რომელიც სრულად გადახდილი უნდა იყოს დაფარვის ვადის ამოწურვის შემდეგ. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. დაშვება გამოიყენება იმის განსაზღვრის მიზნით, არის თუ არა წარმოდგენილი პირობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. დაშვების საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების პირობების საფუძველზე. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხის ვადები და პირობები განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული თვალსაზრისით მოძველება ან ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილი სარგებლიანი მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივების მიერ კომპანიის მიმართ სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, წარმოშობილი საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. იმ შემთხვევაში, სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული შეფასებებისგან 10%-ით, 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 307 ათასი ლარით ზრდა/შემცირება.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 16, „იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და თუ საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთიანი მოდელი. მოიჯარეებს მოეთხოვებათ აღიარონ: (ა) აქტივები და პასივები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან - 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარებისთვის ფასდება გადაცემისას, ისე თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. სხვა გამოყენების უფლების მქონე აქტივები ფასდება იჯარის ვალდებულების თანხით მიღებისას (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დაგროვილი დანახარჯებით). 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 17, „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიებს მისცა საშუალება, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისთვის გართულდა, შეედარებინათ სხვამხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობა. ფასს 17 წარმოადგენს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების აღსარიცხად, მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების (შესრულების ფულადი ნაკადების) რისკებით კორექტირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; დამატებული (იმ შემთხვევაში, თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება არის აქტივი), (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების კომპანიაში გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდზე, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებების კომპანია ამჟამად ან სამომავლოდ განიცდის ზარალს, სუბიექტი აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23, „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოიცა 2017 წლის 7 ივნისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების ცვლილების სახით. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა.

საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ” (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ აწგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯული ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ აწგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ აწგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოიცა 2018 წლის 29 მარტს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოიცა 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. 'პროდუქციის' განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია 'კონცენტრაციის ტესტის' გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა - ფასს 9-ში, ასს 39-სა და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოიცა 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმს შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ასს 39-ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს "მაღალი ალბათობით მოსალოდნელი". მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას, შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართვას ის გადასვლის პროცესს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 დაკავშირებული მხარეები

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან გადაუხდელი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	უშუალო მშობელი კომპანია	215,128	288,196	247,041
კრედიტორული და სხვა დავალიანება	საბოლოო მშობელი კომპანია	818	225	-
კრედიტორული და სხვა დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	290	51	49

შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2019	2018
საქონლის გაყიდვა (შენიშვნა 15)	უშუალო მშობელი კომპანია	11,820	7,370
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	62	-
ინფორმაცია, კონსულტაცია და სხვა პროფესიული მომსახურება (შენიშვნა 16)	საბოლოო მშობელი კომპანია	1,002	735
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	52	248

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელი პირების (რეგიონალური მენეჯერის) ხელფასები, მოკლევადიანი ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 1,107 ათას ლარს (2018: 463 ათასი ლარი).

7 ბიოლოგიური აქტივები

ათასი ლარი	ნაყოფის მომცემი მცენარეები	დაუსრულებელი ნაყოფის მომცემი მცენარეები	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	66,846	54,088	120,934
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(16,945)	(14,525)	(31,470)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	**49,901**	**39,563**	**89,464**
დამატებები	111	4,222	4,333
გადარიცხვები	11,423	(11,423)	-
ცვეთის ხარჯი	(1,715)	-	(1,715)
გაუფასურების ხარჯი	(24,254)	(13,097)	(37,351)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**35,466**	**19,265**	**54,731**
თვითღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	78,380	46,887	125,267
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(42,914)	(27,622)	(70,536)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**35,466**	**19,265**	**54,731**
დამატებები	82	2,581	2,663
გადარიცხვები	6,934	(6,934)	-
ცვეთის ხარჯი	(1,075)	-	(1,075)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**41,407**	**14,912**	**56,319**
თვითღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	85,396	42,534	127,930
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(43,989)	(27,622)	(71,611)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**41,407**	**14,912**	**56,319**

2018 წელს გაუფასურების ტესტის შედეგად აღიარდა გაუფასურების ზარალი, რომელიც აღწერილია ქვემოთ:

მოვლენები და გარემოებები, რომლებიც იწვევს გაუფასურებას. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობთ ხელმძღვანელობამ გამოავლინა იმის მაჩვენებლები, რომ კომპანიის აქტივები შესაძლებელია გაუფასურებული ყოფილიყო, რადგან ბიოლოგიურ აქტივებს რამოდენიმე მიწის ნაკვეთზე არ ჰქონდა საკმარისი მოსავლიანობა. გაუფასურების მიმოხილვაში გაუფასურების მთავარი გამომწვევი იყო გარკვეულ ლოკაციებზე იმაზე უფრო დაბალი მოსავლიანობა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო (გათვალისწინებული იყო ასევე სხვა მაჩვენებლები, როგორებიცაა ნიადაგის ანალიზი, სადრენაჟე არხების და ქარის წინაღობების არსებობა და ა.შ.).

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები იმ მიწის ნაკვეთებთან ერთად, რომელზეც ეს ბიოლოგიური აქტივები იზრდება, წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს („CGU“), რომლის დანიშნულებაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განვითარება, გადამუშავება და გაყიდვაა.

ანაზღაურებადი ღირებულება.. გაუფასურების ტესტის მოდელი მოიცავს სამომავლო მოსავლიანობის პროგნოზს 2019-დან 2022 წლამდე პერიოდში, რომელიც ეფუძნება სამანქანო სწავლების ალგორითმს, რომელიც იყენებს კლიმატურ და ნიადაგის მდგომარეობას და მოსავლიანობის ისტორიულ ჩანაწერებს. ბიოლოგიური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც აქვს არასაკმარისი საწარმოო მოსავლიანობა, განისაზღვრა რომ არის ნული.

მიწების რეალური ღირებულება, რომელიც საბაზრო მიდგომით განისაზღვრა, უფრო მაღალი იყო ვიდრე საბალანსო ღირებულება. ამგვარად, მიწა არ გაუფასურებულა.

გაუფასურების ზარალი. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება განისაზღვრა როგორც უფრო მაღალი ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება. შესაბამისი გაუფასურების ხარჯი - 37,351 ათასი ლარი აღიარდა 2018 წლის განმავლობაში.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	CIP*	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	35,349	8,826	1,137	17,625	100	63,037
დაგროვილი ცვეთა	(2,066)	(2,363)	(623)	(10,283)	-	(15,335)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 სექტემბერს	**33,283**	**6,463**	**514**	**7,342**	**100**	**47,702**
დამატებები	884	1,283	182	619	614	3,582
გადარიცხვები	37	-	-	-	(37)	-
გასვლები	(5)	(128)	(1)	(101)	-	(235)
ცვეთის ხარჯი	(602)	(682)	(150)	(1,664)	-	(3,098)
გასვლისას ამოღებული	1	77	-	94	-	172
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**33,598**	**7,013**	**545**	**6,290**	**677**	**48,123**
თვითღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	36,265	9,981	1,318	18,143	677	66,384
დაგროვილი ცვეთა	(2,667)	(2,968)	(773)	(11,853)	-	(18,261)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**33,598**	**7,013**	**545**	**6,290**	**677**	**48,123**
დამატებები	440	815	78	75	-	1,408
გადარიცხვები	615	-	-	-	(615)	-
გასვლები	-	-	(72)	-	-	(72)
ცვეთის ხარჯი	(582)	(764)	(151)	(1,576)	-	(3,073)
გასვლისას ამოღებული	-	-	64	-	-	64
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**34,071**	**7,064**	**464**	**4,789**	**62**	**46,450**
თვითღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	37,320	10,796	1,324	18,218	62	67,720
დაგროვილი ცვეთა	(3,249)	(3,732)	(860)	(13,429)	-	(21,270)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**34,071**	**7,064**	**464**	**4,789**	**62**	**46,450**

(*) CIP – მიმდინარე მშენებლობა

გარკვეულ მიწის ნაკვეთებს არ გააჩნიათ განსაზღვრული სამომავლო გამოყენება.

9 მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
თხილი	1,343	6,494	3,574
მასალები და ნედლეული	6,182	5,530	5,660
ნერგები	771	1,613	1,647
სულ მარაგები	**8,296**	**13,637**	**10,881**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და შემდგომში გაყიდვაა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის აღება ხორციელდება ყოველწლიურად, ივლისი-სექტემბრის პერიოდში. თხილი აღიარდება მხოლოდ მოსავლის აღების მომენტისთვის.

2019 წელს, კომპანიამ აიღო 555 ტონა თხილის მოსავალი (2018 წ.: 1,594 ტონა). 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 326 ტონა თხილის მოსავალი იყო აუღებელი (2018 წლის 31 აგვისტო: 345 ტონა, 2017 წლის 1 სექტემბერი: 354 ტონა).

მოძრაობები მარაგებში კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	თხილი	ნერგები	მასალები და ნედლეული	სულ
2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	**3,574**	**1,647**	**5,660**	**10,881**
შესყიდვები	1,384	-	7,164	8,548
გამოყენებული მასალები და ნედლეული	-	-	(4,090)	(4,090)
შემოსულობა თხილის თავდაპირველი აღიარებისას	8,798	-	-	8,798
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(7,655)	(946)	(141)	(8,742)
მარაგების ანარიცხები	-	(432)	(728)	(1,160)
სხვა მოძრაობა	393	-	-	393
სულ ცვლილებები მარაგებში, აღიარებული მოგება-ზარალში	**1,536**	**(1,378)**	**(869)**	**(711)**
კაპიტალიზაციის შედეგად ზრდა ნერგებში	-	1,344	-	1,344
ნერგებისა და ნაყოფის მომცემ მცენარეებზე კაპიტალიზაცია	-	-	(1,855)	(1,855)
ძირითადი საშუალებების კაპიტალიზაცია	-	-	(480)	(480)
2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	**6,494**	**1,613**	**5,530**	**13,637**
შესყიდვები	2,477	-	5,276	7,753
გამოყენებული მასალები და ნედლეული	-	-	(3,965)	(3,965)
შემოსულობა თხილის თავდაპირველი აღიარებისას	3,208	-	-	3,208
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(10,728)	(761)	(89)	(11,578)
მარაგების ანარიცხები	-	(555)	-	(555)
სხვა მოძრაობა	(108)	-	856	748
სულ ცვლილებები მარაგებში, აღიარებული მოგება-ზარალში	**(7,628)**	**(1,316)**	**767**	**(8,177)**
ზრდა ნერგებში კაპიტალიზაციის შედეგად	-	437	-	437
ნერგებისა და ნაყოფის მომცემ მცენარეებზე კაპიტალიზაცია	-	37	(1,426)	(1,389)
2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	**1,343**	**771**	**6,182**	**8,296**

10 ავანსად გადახდილი ან დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
დღგ	7,756	5,834	8,385
სხვა გადასახადები	(207)	(154)	(1,349)
სულ ავანსად გადახდილი ან დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	**7,549**	**5,680**	**7,036**

ხელმძღვანელობამ კომპანიის საგადასახადო ნაშთები წარმოადგინა წმინდა საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანების მიხედვით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყარო, თხილის გაყიდვები, თავისუფალია გადასახდელი დღგ-ით დაბეგვრისაგან და ამავდროულად ინარჩუნებს დღგ-ის ჩათვლის უფლებას. ამრიგად, კომპანიამ დააგროვა მნიშვნელოვანი დღგ-ს აქტივი, რომელიც ამოღებულია საგადასახადო ორგანოებიდან კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე და საგადასახადო ორგანოების თანხმობის საფუძველზე.

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
ფული ხელზე	6	4	12
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები			
- *ლარში დენომინირებული*	501	823	699
- *ევროში დენომინირებული*	5,710	5,795	1,401
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**6,217**	**6,622**	**2,112**

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები ინახება ბანკში, რომელსაც გააჩნია “B რეიტინგი” Fitch რეიტინგების საფუძველზე.

12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახულ ნომინალურ კაპიტალს. 2007 წლის 20 მარტით დათარიღებული წესდების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 500 ათასი აშშ დოლარით (რაც 853 ათასი ლარის ეკვივალენტია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად). კომპანიის მფლობელის დადგენილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა ფულადი სახსრების შენატანების ხარჯზე, რაც შეადგენდა 935 ათას აშშ დოლარს და 5,614 ათას ევროს (რაც არის 1,573 ათასი და 12,939 ათასი ლარის ეკვივალენტი გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად).

13 ნასესხები სახსრები

კომპანიის ნასესხები სახსრები წარმოადგენს დაკავშირებული მხარეების სესხებს მიღებული უშუალო მშობელი კომპანიისგან. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სესხი უპროცენტო იყო და დაფარვის ვადა გაუვიდა 2008 წლის 27 ივნისს.

მშობელ კომპანიასთან ახალი სესხის შესწორების მიხედვით (რომელიც დათარიღებულია 2018 წლის 19 ივლისით და შესწორდა 2019 წლის მაისში), სესხის მთლიანი ლიმიტის ოდენობა გაიზარდა 104,500 ათას ევრომდე, ხოლო დაფარვის ვადა გაგრძელდა 2025 წლის 20 ივლისამდე.

სესხი მშობელი კომპანიისგან უპროცენტოა. კომპანიამ საქართველოში არსებული მსგავსი სესხების საბაზრო განაკვეთი გამოიყენა, რაც ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციას და რეალური ღირებულების შესაფასებლად დაადგინა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 7,1%-დან 7,3%-მდე შუალედში. უშუალო მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხის რეალური ღირებულების შეფასების გავლენა 108,873 ათასი ლარის ოდენობით პირდაპირ აღირიცხა კაპიტალში.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ ვალდებულებების ანალიზი, რომელიც საფინანსო საქმიანობიდან არის წარმოქმნილი და ასევე ასახავს კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები წარმოადგენს იმ მუხლებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	2019	2018
1 სექტემბრის მდგომარეობით	**288,196**	**247,041**
დამატებები წლის განმავლობაში	14,270	29,859
სავალუტო ზარალი, წმინდა	17,427	11,296
რეალური ღირებულების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას	(108,873)	-
საპროცენტო დანახარჯი	4,108	-
31 აგვისტოს მდგომარეობით	**215,128**	**288,196**

14 კრედიტორული და სხვა დავალიანებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
კრედიტორული დავალიანებები	(1,661)	(2,155)	(1,832)
თანამშრომლების დარიცხული გასამრჯელოების ხარჯი	(603)	(677)	(2,297)
სხვა დავალიანებები	-	(1)	(518)
სულ კრედიტორული და სხვა დავალიანებები	**(2,264)**	**(2,833)**	**(4,647)**

15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	2019	2018
დაკავშირებული მხარისთვის თხილის მიყიდვა	11,820	7,370
დაკავშირებული მხარისთვის ნერგების მიყიდვა	1,421	1,326
მესამე მხარისთვის თხილის მიყიდვა	590	737
სხვა გაყიდვები	11	136
სულ ამონაგები	**13,842**	**9,569**

16 სხვა საოპერაციო ხარჯი

ათასი ლარი	2019	2018
თხილის მტვრევის ხარჯი	(1,532)	(1,229)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(1,482)	(1,322)
შენატანი GHGA-სთვის (შენიშვნა 1)	(1,290)	(636)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,069)	(1,559)
ტრანსპორტირების ხარჯები	(284)	(141)
რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(260)	(362)
სადაზღვევო ხარჯები	(223)	(272)
კომუნიკაციების ხარჯი	(201)	(180)
მოსავლის აღების მომსახურების ხარჯი	(138)	(3,771)
კომუნალური ხარჯი	(137)	(91)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(56)	(65)
საოფისე მასალების ხარჯები	(35)	(21)
ჯარიმები და სანქციები	(2)	(85)
სხვა	(141)	(427)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(6,850)**	**(10,161)**

17 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2019	2018
სავალუტო ზარალი, წმინდა	(16,880)	(10,922)
საპროცენტო დანახარჯი დაკავშირებული მხარისაგან ნასესხები სახსრებისთვის	(4,108)	-
საბანკო ხარჯები	(72)	(101)
სულ ფინანსური ხარჯები	**(21,060)**	**(11,023)**

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არ ხდება დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების ვალდებულების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ, თუ სამი წელი არის გასული იმ წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს დარღვევა მოხდა.

ამ გარემოებებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელებული მრავალი სახის დაზღვევა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია თავისი ქონების, საქმიანობის შეფერხების დაზღვევა, ან მესამე მხარის ვალდებულება კომპანიის ქონების ან კომპანიის ოპერაციებთან მიმართებით ქონების შემთხვევით დაზიანებისათვის. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო დაზღვევას, იარსებებს გარკვეული აქტივების დაკარგვის ან განადგურების შედეგად კომპანიის საქმიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებითი უარყოფითი გავლენის რისკი.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანია ჩართული იყო სამართალწარმოების პროცესში დაქირავებულ თანამშრომლებთან დასაქმების საკითხებზე. ანარიცხი არ შექმნილა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ზარალის წარმოქმნა ნაკლებად სავარაუდოა.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაჰენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობისთვის დაბალი რისკია, ვინაიდან გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება უშუალო მშობელი საწარმოსთვის. რეალიზაციის პირობები მესამე მხარეებისთვის, როგორც წესი, წინასწარი გადახდების საფუძველზე ხდება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
დებიტორული და სხვა დავალიანება			
- დებიტორული დავალიანება	924	753	379
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	6,211	6,618	2,100
სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება	**7,135**	**7,371**	**2,479**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. საანგარიშო პერიოდების ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% განთავსებული იყო მხოლოდ ერთ ბანკში

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო აქტივებსა და პასივებთან, და (გ) წილობრივ პროდუქტებთან, რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები, მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკებისადმი ეფუძნება ფაქტორში ცვლილებებს მაშინ, როდესაც დანარჩენი ფაქტორები რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და ცვლილებები გარკვეულ ფაქტორებში შესაძლოა ურთიერთკავშირში იყოს.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	1,425	(1,639)	(212)
ევრო	5,710	(215,150)	(209,440)
სულ	**7,135**	**(216,789)**	**(209,654)**

	2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით			2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	1,576	(2,156)	(580)	1,029	(1,827)	(798)
ევრო	5,795	(288,196)	(282,401)	1,450	(247,564)	(246,114)
სულ	**7,371**	**(290,352)**	**(282,981)**	**2,479**	**(249,391)**	**(246,912)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად ₾ქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათასი ლარი	2019	2018
ევროს გამყარება 10%-ით	20,944	28,240
ევროს გაუფასურება 10%-ით	(20,944)	(28,240)

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიის წინაშეა ფინანსურ ვალდებულებების ანგარიშსწორებისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი. ლიკვიდობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და კრედიტორულ და სხვა დავალიანებას. კომპანიის ლიკვიდობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძრვანელობას აფასებს, რომ ლიკვიდობის პორტფელი შესაძლებელია რეალიზდეს ფულად სახსრებად ერთ დღეში იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნები. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ვალდებულებებს, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში გამჟღავნებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 1,661 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება (2018 წლის 31 აგვისტო: 2,156 ათასი ლარი, 2017 წლის 1 სექტემბერი: 2,350 ათასი ლარი) შედიოდა 'მოთხოვნის და 1 თვის ვადაზე ნაკლები' ვადის კატეგორიაში. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ნასესხები სახსრების ბალანსი კლასიფიცირდა, როგორც გრძელვადიანი დაფარვის ვადებში შეტანილი ცვლილებების გამო. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სულ ნასესხები სახსრების ბალანსი 290,352 ათასი ლარის ოდენობით შეტანილი იქნა „მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლების“ დაფარვის ვადის კატეგორიაში (2017 წლის 1 სექტემბერი: 249,391 ათასი ლარი).

ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც გამოწვეულია გარემოს და კლიმატური ცვლილებებით და სასაქონლო ფასებით. თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მავნებლებისგან დასაცავად (ძირითადად პარაზიტი მწერებისგან დასაცავად), კომპანია რეგულარულად გადის კონსულტაციებს საქართველოს წამყვან გამოცდილ პროფესიონალ აგრონომებთან და სამთავრობო უწყებებთან.

კომპანია არ ითვალისწინებს, რომ მისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება და, შესაბამისად, მან არ გააფორმა წარმოებული ან სხვა ხელშეკრულებები, ფასების შემცირების რისკის მართვის მიზნით..

20 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. ქვემოთ ნაჩვენებია იმ აქტივებისა რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის:

	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით			
ათასი ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
სხვა ფინანსური აქტივები				
- დებიტორული დავალიანებები	-	-	924	924
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	6,211	-	6,217
სულ აქტივები	6	6,211	924	7,141
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები				
- დაკავშირებული მხარეების სესხები	-	-	(215,128)	(215,128)
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- კრედიტორული დავალიანებები	-	-	(1,661)	(1,661)
სულ ვალდებულებები	-	-	(216,789)	(216,789)

20 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2018 წლის 31 აგვისტო				2017 წლის 1 სექტემბრი			
ათასი ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
- დებიტორული დავალიანება	-	-	753	753	-	-	379	379
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	6,618	-	6,622	12	2,100	-	2,112
სულ აქტივები	4	6,618	753	7,375	12	2,100	379	2,491
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- დაკავშირებული მხარეების სესხები	-	-	(288,196)	(288,196)	-	-	(247,041)	(247,041)
სხვა ფინანსური								
- კრედიტორული დავალიანება	-	-	(2,156)	(2,156)	-	-	(2,350)	(2,350)
სულ ვალდებულებები	-	-	(290,352)	(290,352)	-	-	(249,391)	(249,391)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების თანაბარი. არა-კოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, როგორც წესი, არის მათი საბალანსო ღირებულებ. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ემყარება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრა კოტირებული მოთხოვნილი ფასის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტების, რომლებისთვისაც არაა ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასი, სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და კრედიტორული დავალიანება უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის, ასს 39-ის - *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება* - შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (ა) სესხები და დავალიანებები; (ბ) გასაყიდად წარმოდგენილი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები შედასებული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (“FVTPL”). მოგება-ზარალში ასახვით, რრეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვეკატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) სავაჭროდ კლასიფიცირებული აქტივები. დამატებით, ფინანსური იჯარის დავალიანებები ცალკე კატეგორიას წარმოადგენს.

22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ორ თვეში ვირუსი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა და მის უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მდგომარეობა ჯერ ისევ განვითარებად სიტუაციაშია, მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს გავლენების თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის თებერვალში კომპანიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დაიბრუნა დამატებითი ღირებულების გადასახადი 5 მილიონი ლარის ოდენობით.

2019 წლის 27 ნოემბერს კომპანიამ მშობელი კომპანიისგან დამატებით 1 მილიონი ევროს დაფინანსება მიიღო.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელიც მოითხოვდა ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან მასში გამჟღავნებას, ადგილი არ ჰქონია.

მმართველობითი ანგარიში – საქმიანობის მიმოხილვა

1. საწარმოს საქმიანობის განვითარება, ეფექტიანობა და პოზიცია

შპს „აგრიჯორჯია“ სასოფლო-სამეურნეო კომპანიაა, რომელიც დაარსდა საქართველოში 2007 წელს და წარმოადგენს სს „ფერრერო თრეიდინგ ლუქს“-ის სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას. „აგრიჯორჯიას“ ძირითადი საქმიანობაა თხილის კულტივაცია ჯგუფის მიმართ შემდგომი რეალიზაციისთვის და წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშეს ადგილობრივ თხილის ბიზნესში. კომპანია ერთერთი საუკეთესო დამსაქმებელი და ინვესტორია საქართველოს დასავლეთ რეგიონში და ჩართულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში, რომელიც უკავშირდება ადგილობრივი ფერმერების მიერ თხილის პლანტაციების განვითარებას.

კომპანიის ყურადღება უპირველესად გამახვილებულია მაღალხარისხიან პროდუქტებზე და მისი ბიზნესის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი აქტივობა: უკვე არსებული პლანტაციიდან თხილის მოსავლის აღება და სანერგე მეურნეობებში ნერგების მოყვანა და ადგილობრივი ფერმერებისთვის მიყიდვა. კომპანიას ძირითადად მოჰყავს იტალიური და ქართული შერჩეული ჯიშები სხვა ევროპულ ჯიშებთან ერთად. ბაღები და სანერგე მეურნეობები მდებარეობს სამეგრელოს რეგიონის ხუთ ნაწილში: ჭითაწყარი, ხიბულა, გეჯეთი, მარტვილი და წალენჯიხა - ძირითადი ბაზით ჭითაწყარში. საკუთრებაში არსებული მთლიანი ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 4,000 ჰა-ს, ხოლო ნარგავებიანი ტერიტორია დაახლოებით 3,50 ჰა-ს.

2018 წლიდან შპს „აგრიჯორჯიამ“ წამოიწყო ოპტიმიზაციის პროგრამა, რომელიც მიმართულია დიდი მოცულობებით და მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების პირობების შექმნისა და ეკონომიკური რენტაბელობის უზრუნველყოფისკენ ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად. პროგრამა მიზნად ისახავს შერჩეული 2,000 ჰექტარის მაქსიმალურად გამოყენებას და იმ 1,500 ჰექტარი პლანტაციის ექსპლუატაციიდან ამოღებას, რომლებზეც მოსავლიანობის მიზნები არ მიიღწევა.

იმის გათვალისწინებით, რომ პერიოდი, რომელიც სჭირდება თხილს სრულ სიმწიფემდე მისასვლელად, გრძელდება დიდხანს, დედობილი კომპანია გამოყოფს სესხს „აგრიჯორჯიას“ სამუშაო კაპიტალის შესავსებად, ვიდრე არ მიაღწევს ნულოვანი მოგების წერტილს. კომპანიის შემოსავლები დიდწილად არის დამოკიდებული რეგიონალურ ბაზარზე თხილის ფასების ცვალებადობაზე, სადაც თურქეთი წარმოადგენს მთავარ მოთამაშეს ფასების განსაზღვისას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის აზიური ფაროსანას გავრცელება, რომელიც კვლავ ზიანს აყენებს მოსავალს. 2019 საანგარიშო წელს „აგრიჯორჯიას“ შემოსავალმა 14 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 45%-ით მეტია 2018 წლის შემოსავალზე. შესაბამისი წლების წმინდა შედეგი იყო 39 მილიონი ლარის და 67 მილიონი ლარის ზარალი, რაც იმ შემცირების შედეგი იყო, რომელიც გამოიწვია კომპანიის პლანტაციების ოპტიმიზაციის პროგრამამ 2018 წელს.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

„აგრიჯორჯიას“ მთავარი მიზანია დედობილ კომპანიას მიაწოდოს მაღალი ხარისხის თხილი და წვლილი შეიტანოს საკონდიტრო ნაწარმის ნედლეულით უწყვეტ მომარაგებაში. ეს განსაზღვრავს კომპანიის სამომავლო აქტივობებს, რაც პლანტაციებზე მავნებლების მიერ მიყენებული ზიანის გავლენის შემცირების ზომების გატარებაა.

როგორც რეგიონის გლობალური ეკოსისტემის ნაწილი, „აგრიჯორჯია“ აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას სამთავრობო უწყებებთან, როგორიცაა სურსათის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე არასამთავრობო უწყებებთან, მაგალითად საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), რათა ადგილობრივ ფერმერებს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება მაღალხარისხიანი თხილის წარმოების და ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

კომპანია, როგორც ნაჭუჭიანი თხილის მიწოდების ჯაჭვის ერთერთი რგოლი, აგრძელებს რეგიონში თხილის საშრობი ცენტრების მშენებლობის დაფინანსებას.

3. საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევითი და განვითარების საქმიანობის მიმოხილვა

„აგრიჯორჯია“ შეზღუდული რაოდენობის კვლევით და განვითარების საქმიანობას ეწევა, რაც მოიცავს ნიადაგის ანალიზს, ფოთლების ქსოვილის ტესტირებას, ნაყოფის ანალიზს, მოსაზრებებს დაავადებების მკურნალობის შესახებ. კვლევების და განვითარების ფუნქციები სრულდება საქართველოში თხილის კულტივაციის მხარდაჭერის განვითარების გეგმის შესაბამისად.

4. ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. მისი საქმიანობა კონცენტრირებულია სამეგრელოს რეგიონში - ჭითაწყარში, ხიბულაში, გეჯეთში, მარტვილში და წალენჯიხაში - საბაზისო და ადმინისტრაციული ოფისი კი მდებარეობს ჭითაწყარში, ზუგდიდის რაიონში.

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

	ათასი ლარი	2019	2018	პროგრესის განმარტება
1	შემოსავალი	13,842	9,569	რეგიონის ბაზარზე თხილის ფასების ცვალებადობის და გაყიდვების მოცულობის ცვლილების გამო
2	საოპერაციო ზარალი	(18,063)	(56,452)	2018 წელს კომპანიის პლანტაციების ოპტიმიზაციის პროგრამის გამო
3	წმინდა ზარალი	(39,108)	(67,443)	ზემოაღნიშნულის და სავალუტო კურსების რყევის გამო ლარი ევროსთან მიმართებაში
4	სესხი მშობელი კომპანიისგან	215,128	288,196	სესხი სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად ნულოვანი ზარალის წერტილამდე

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

		2019	2018	პროგრესის განმარტება
1	დროებით დასაქმებულების ოდენობა მოსავლის აღებისას	1,574	1,170	სხვაობა განპირობებულია 2018 წელს მოსავლის აღების აუთსორსინგით
2	მუდმივად დასაქმებულების საშუალო რაოდენობა	182	244	სხვაობა განპირობებულია 2019 წელს უსაფრთხოების სამსახურების აუთსორსინგით
3	თხილის მოსავლის აღება	555 ტონა	1,594 ტონა	სხვაობა განპირობებულია თხილნარების სიმწიფის ზრდით

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

შპს „აგრიჯორჯიას“ სრულად ფლობს სს „ფერრერო თრეიდინგ ლუქს“, რომლის მთლიანად განაღდებული კაპიტალი შეადგენს 15 მილიონ ლარს. აქციების არ არის შესაძენად ხელმისაწვდომი.

7. წლიურ ფინანსური ანგარიშგებაში მითითებული თანხების დამატებითი განმარტებები

2019 წელს „აგრიჯორჯიამ“ 1.4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა ძირითად საშუალებებში, რაც მოიცავს საკუთარი ძალებით აშენებულ ქონებასაც.

ყოველდღიური საქმიანობის შედეგად, კომპანიას მნიშვნელოვანი დღგ აქტივი უგროვდება, რომელიც ანაზღაურდა მომდევნო ფისკალურ წელს.

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ „აგრიჯორჯია“ არ განიცდის მნიშვნელოვან გაყიდვების მოცულობასთან დაკავშირებულ რისკს ბაზარზე თხილზე მუდმივი მოთხოვნის გათვალისწინებით, იგი მაინც ექცევა ფასის რისკების გავლების ქვეშ. ფასი, რა ფასადაც კომპანია ყიდის მის თხილს, განისაზღვრება გლობალური ფასის გათვალისწინებით. ამ ფასზე ძლიერ მოქმედებს თხილის მიწოდება თურქეთიდან. „აგრიჯორჯიას“ გასაყიდმა ფასმა შესაძლოა მკვეთრი რყევა განიცადოს წლიდან წლამდე, რაზეც შეზღუდული კონტროლი აქვს კომპანიას.

კომპანია იმყოფება ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენის ქვეშ, დიდი ოდენობის უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ „აგრიჯორჯიას“ არსებითი შესყიდვების და პროდუქციის გაყიდვების უმეტესობა ევროში ხორციელდება, ასევე ხელს უწყობს იმას, რომ კომპანია იყოს დაქვემდებარებული სავალუტო კურსების ცვალებადობაზე.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის საკითხთან დაკავშირებით

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო წარმოება საწარმოო რისკის მაღალ დონეს გულისხმობს, რომელიც უკავშირდება ამინდს, მავნებლებს, დაავადებებსა და ტექნოლოგიებისა და სამეურნეო და სხვა მართვის მახასიათებლების ურთიერთქმედებას, გენეტიკას, მანქანა-დანადგარების ეფექტიანობას და დახარჯული რესურსების ხარისხს. გარდა ამისა, ამჟამად საქართველოში გავრცელებულია აზიური ფაროსანა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თხილის წარმოებაზე არამარტო საქართველოში, არამედ რამდენიმე მთავარ მწარმოებელ ქვეყანაში გლობალურად. მიღებული ზომები, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა სააგენტოებთან თანამშრომლობით, არის სწორი ქიმიური მკურნალობის შერჩევის ძიება და აღნიშნულის ადგილობრივ ფერმერებთან გაზიარება.

კომპანიას ასევე აქვს მარაგების რისკი. კერძოდ, რეალიზაციამდე დასაწყობებული თხილი არის გაფუჭების რისკის ქვეშ. გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ხდება თხილის გულების შეხრჩოლვა, რაც მარაგების მოძველების რისკის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

მარაგებთან დაკავშირებული კიდევ ერთი რისკია თხილის ნერგების და ხეების გახმობა. გახმობის მაჩვენებელი შეიძლება განსხვავდებოდეს თხილის ჯიშების მიხედვით და შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, კლიმატი, ატმოსფერული პირობები, არასწორი დარგვა და ა.შ. რისკის აღმოფხვრის მიმართ გადადგმულ მთავარ ნაბიჯებს წარმოადგენს ხეების ზრდის მონიტორინგი, ამავდროულად ქარის ბარიერების და წყლის სადრენაჟო სისტემების საშუალებით სათანადო დაცვის უზრუნველყოფა.

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა და მის უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. რადგან წინამდებარე მმართველობითი ანგარიშის გამოცემის დროს მდგომარეობა ჯერ ისევ განვითარებად სიტუაციაშია, მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა განაგრძობს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გავლენების თავიდან ასაცილებლად გადადგამს ყველა შესაძლო. ნაბიჯს.

ხელი მოეწერა 2020 წლის 21 აპრილს.

ხელმოწერილია
კოლინ ჰინჩლი
გენერალური მენეჯერი

ხელმოწერილია
ანდრეა ჩიკოლინი
შესყიდვები & HCo ფინანსური დირექტორი

წინამდებარე დოკუმენტის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიმართ. დოკუმენტის გამრავლება და/ან გამჟღავნება საჭიროებს ინფორმაციის მფლობელის წინასწარ თანხმობას.

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.
მთარგმნელი: ეთერ ნოზაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200376623
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.06.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	დავით ოყროშიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322745001
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12227067444120

მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ეთერ ნოზაძის (დაბადებული 12.12.1983, ქ. ხაშურში, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. #26, ბინა 27, პირადი #57001012113) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA#000101, გაც. 2006წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო #335. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

თარჯიმნის ხელმოწერა დამოწმდა თარგმანის თითოეულ გვერდზე (სულ 39 ხელმოწერა).

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 78.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 14.04 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შპს აგრიჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 აგვისტო

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 18
5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 19
6 დაკავშირებული მხარეები 23
7 ბიოლოგიური აქტივები 25
8 ძირითადი საშუალებები 27
9 მარაგები 28
10 ავანსად გადახდილი ან დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა 29
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 29
12 საწესდებო კაპიტალი 29
13 ნასესხები სახსრები 30
14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 30
15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 30
16 სხვა საოპერაციო ხარჯი 31
17 ფინანსური ხარჯები 31
18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 31
19 ფინანსური რისკის მართვა 32
20 რეალური ღირებულების შეფასება 35
21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 37
22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 37

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აგრიჯორჯიას მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი პირობითი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, გარდა იმ საკითხების გავლენისა, რაც არის აღწერილი ამ *დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძვლის* ნაწილში, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს აგრიჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

1. როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე -9 შენიშვნაში, კომპანიის მარაგები მოიცავს სოფლის მეურნეობის ნაწარმს, თხილს, რომელიც შეფასდა ისტორიული ღირებულებით 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით და შეადგინა 3,574 ათასი ლარი, ეს წარმოადგენს გადახვევას ბასს 41-სგან, *სოფლის მეურნეობა,* რაც მოითხოვს მოსავლის აღებისას სოფლის მეუორნეობის ნაწარმის რეალური ღირებულებით შეფასებას, შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით, და რეალური ღირებულება თხილის მარაგების შემდგომი შეფასებისას მისი თვითღირებულება ხდება. 2018 წლის 31 აგვისტოს და 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიამ მოსავლის აღებისას სოფლის მეურნეობის ნაწარმის თავდაპირველის აღიარებისას აღიარა რეალური ღირებულებიდან შემოსულიბა შესაბამისად 8,798 ათასი ლარის და 3,208 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაკავშირებული იყო აღებული თხილის მოსავალთან, რომლის საბალანსო ღირებულებამაც 6,494 ათასი ლარი და 1,343 ათასი ლარი შეადგინა შესაბამისად 2018 წლის 31 ოქტომბრის და 2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, თუმცა, ეს შემოსულობა არ იქნა შეფასებული ბასს 41-ის შესაბამისად, მაგრამ კომპანიამ რეალური ღირებულების შემოსულობა განსაზღვრა რეგიონში იმ საბაზრო ოპერაციების საფუძველზე, რომლებიც გამომდინარეობდა არასანდო წყაროებისგან. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შეგვეფასებინა ამ საკითხის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. როგორც ეს მე-9 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თხილი აღიარდება მხოლოდ მოსავლის აღებისას, რაც წარმოადგენს ბასს 41-სგან გადახვევას, რადგან მსხმოიარე ნარგავების პროდუქცია უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ ასაღები მოსავლიანობის განსაზღვრისთანავე. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შეგვეფასებინა ამ საკითხის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 9-შია აღწერილი, კომპანიის მარაგები მოიცავს სოფლის მეურნეობის ნაწარმს, ნერგებს, რომლის საბალანსო ღირებულებაა 1,647 ათასი ლარი, 1,613 ათასი ლარი და 771 ათასი ლარი, შესაბამისად 2017 წლის 1 სექტემბრის, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადახვევას ბასს 41-სგან, რომელიც მოითხოვს, რომ მოსავლის აღებისას სოფლის მეურნეობის ნაწარმი შეფასდეს რეალური ღირებულებით, შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით, და ეს რეალური ღირებულება ხდება თვითღირებულება თხილის მარაგების შემდგომი შეფასებისას. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შეგვეფასებინა ამ საკითხის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 8-შია აღწერილი, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთლიანი მიწებიდან, რომლების საბალანსო ღირებულება 8,800 ათას ლარს შეადგენს, კომპანია ფლობდა გარკვეული რაოდენობის მიწის ნაკვეთებს, რომელსაც არ ჰქონდა განსაზღვრული სამომავლო გამოყენების მიზნები. ხელმძღვანელობამ ეს მიწები აღრიცხა ძირითად საშუალებებში, და არ მოუხდენია მათი საინვესტიციო ქონებაში რეკლასიფიკაცია და არ გაუმჟღავნებია მათი რეალური ღირებულება, როგორც ეს ბასს 40-ით , *საინვესტიციო ქონება* მოითხოვება. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შეგვეფასებინა ამ საკითხის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პირობითი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც ეს *პირობითი მოსაზრების საფუძველის* ნაწილში პირველ, მე-2 და მე- 3 პუნქტებშია აღწერილი, კომპანიამ სოფლის მეურნეობის ნაწარმი და ნაყოფის მომცემი მცენარეების საწარმოო ზრდა არ შეაფასა ბასს 41-ის შესაბამისად. ჩვენ ვასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას იმავე მიზეზით, რაც უკავშირდება ზემოაღნიშნული *პირობითი მოსაზრების საფუძველის* ნაწილში პირველ, მე-2 და მე- 3 პუნქტებშია აღწერილ თანხებსა თუ სხვა მუხლებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადექვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2020 წლის 21 აპრილი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები	7	56,319	54,731	89,464
ძირითადი საშუალებები	8	46,450	48,123	47,702
არამატერიალური აქტივები		140	221	295
სულ გრძელვადიანი აქტივები		**102,909**	**103,075**	**137,461**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	9	8,296	13,637	10,881
ავანსად გადახდილი და დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	10	7,549	5,680	7,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		924	753	379
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	6,217	6,622	2,112
სულ მოკლევადიანი აქტივები		**22,986**	**26,692**	**20,408**
სულ აქტივები		**125,895**	**129,767**	**157,869**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	15,364	15,364	15,364
დაგროვილი ზარალი		(106,861)	(176,626)	(109,183)
სულ კაპიტალი		**(91,497)**	**(161,262)**	**(93,819)**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	215,128	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**215,128**	**-**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	-	288,196	247,041
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,264	2,833	4,647
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,264**	**291,029**	**251,688**
სულ ვალდებულებები		**217,392**	**291,029**	**251,688**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**125,895**	**129,767**	**157,869**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა 2020 წლის 21 აპრილს.

კოლინ ჰინჩლი
გენერალური მენეჯერი

ანდრეა ჩიკოლინი
შესყიდვები & HCo ფინანსური დირექტორი

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	15	**13,842**	**9,569**
ცვლილებები მარაგებში	9	(8,177)	(711)
ბიოლოგიური აქტივების გაუფასურება	7	-	(37,351)
თანამშრომელთა გასამრჯელოების ხარჯი		(9,096)	(9,169)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7,8	(3,860)	(4,565)
გამოყენებული მასალები და სხვა ნედლეული	9	(3,965)	(4,090)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(6,850)	(10,161)
სხვა შემოსავალი		43	26
საოპერაციო ზარალი		**(18,063)**	**(56,452)**
ფინანსური შემოსავალი		15	32
ფინანსური ხარჯები	17	(21,060)	(11,023)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(39,108)**	**(67,443)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		**(39,108)**	**(67,443)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		**(39,108)**	**(67,443)**

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალიდაგრ	სულ კაპიტალის
ნაშთი 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	**15,364**	**(109,183)**	**(93,819)**
წლის ზარალი	-	(67,443)	(67,443)
სულ წლის სრული ზარალი	-	(67,443)	(67,443)
ნაშთი 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	**15,364**	**(176,626)**	**(161,262)**
წლის ზარალი	-	(39,108)	(39,108)
სულ წლის სრული ზარალი	-	(39,108)	(39,108)
თავდაპირველი აღიარების გავლენა მშობელი კომპანიისგა მიღებულ სესხზე (შენიშვნა 13)	-	108,873	108,873
ნაშთი 2019 წლის 31 აგვისტოს	**15,364**	**(106,861)**	**(91,497)**

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(39,108)	(67,443)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის	7,8	4,229	4,887
ბიოლოგიური აქტივების გაუფასურების	7	-	37,351
მარაგების მიწოდების	9	555	1,160
ძირითადი საშუალებების გასვლიდან ზარალის	8	8	50
საპროცენტო შემოსავლის		(15)	(32)
საპროცენტო ხარჯის	17	4,108	-
სავალუტო კურსების ზარალისთვის, წმინდად		16,880	10,922
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**(13,343)**	**(13,105)**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(67)	(335)
ცვლილება მარაგებში		4,786	(5,900)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(536)	(1,199)
ცვლილება ავანსად გადახდილ და დაბრუნებად გადასახადებში		(1,869)	1,356
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		**2,314**	**(6,078)**
მიღებული პროცენტი		15	32
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(11,014)**	**(19,151)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,408)	(3,531)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	7	(2,663)	(2,829)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	13
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(4,071)**	**(6,347)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	13	14,270	29,859
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		**14,270**	**29,859**
ვალუტის გაცვლის კურსების ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		410	149
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	**6,622**	**2,112**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**6,217**	**6,622**

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს აგრიჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2007 წლის 20 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც დაარსდა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204526021.

2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთადერთი უშუალო მშობელი კომპანია იყო Ferrero Trading Lux S.A. და საბოლოო მშობელი კომპანია იყო Ferrero International S.A. (Ferrero Trading Lux S.A.-ს უშუალო მშობელი კომპანია), ორივე რეგისტრირებულია ლუქსემბურგში.

კომპანიის არც უშუალო მშობელი და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს და ოპერირებას უწევს თხილნარებს, რომლებიც გაშენებულია 3,700 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. კომპანია აწარმოებს ქართულ, იტალიურ და სხვა ევროპულ თხილის სახეობებს და ძირითადად ყიდის მის უშუალო მშობელ კომპანიაზე (დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ იხილეთ შენიშვნა 6).

2017 წლის 29 ივნისს შპს აგრიჯორჯიამ და Ferrero Trading Lux S.A.-მა გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდუმი (“MOU“) აშშ-ს საერაშორისო განვითარების სააგენტოსთან (“USAID”), ისინი ერთობლიობაში მოიხსენება როგორც („მხარეები“).

ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეების მიზნებია:

- თხილის ინდუსტრიის განვითარების გაუმჯობესება, ქართული თხილის წარმოების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდის გზით, გადამუშავების შესაძლებლობების გაუმჯობესებით და საბაზრო კავშირების დამყარებით, რაც მცირე მეწარმეებს საშუალებას მისცემს წვდომა ჰქონდეთ მომგებიან საბოლოო ბაზრებზე;
- USAID– ისა და შპს აგრიჯორჯია-ს ფინანსური და ტექნიკური რესურსების გაერთიანება და ბერკეტირება პროექტის ზემოქმედების მასშტაბის, ეფექტურობის გასაზრდელად და კერძო სექტორის ინტერესების და მიზნების წინ წამოსაწევად;
- თხილის საწარმოო ჯაჭვის ტრანსფორმაცია და რაციონალიზაცია, სადაც თხილის ხარისხიანი წარმოების საერთო ინტერესი მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს მისცემს მაღალი ხარისხის თხილის წარმოებისა და ექსპორტის მოტივაციას.

კომპანიის როლია გაუწიოს უშუალო ტექნიკური დახმარება, ორ ინდუსტრიულ ორგანიზაციას, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციას ("GHGA") და თხილის ექსპორტიორთა და გადამამუშავებელთა ასოციაციას ("HEPA") და ასევე პროექტის სხვა ბენეფიციარებს და .ორგანიზება გაუწიოს ტექნიკური სპეციალისტების გუნდს, რათა მათ გააგრძელონ მწარმოებლების ტრენინგები, დაეხმარონ საშრობ ცენტრებს, გააუმჯობესონ ვარგისიანობა და დააკავშირონ მწარმოებლები გადამამუშავებლებთან.

კომპანიის მიერ სავარაუდო შენატანი ამ ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც მემორანდუმის მიხედვით იწყება 2017 წლის სექტემბრიდან, დამოკიდებულია თანხების ხელმისაწვდომობისა და შესაბამისი შიდა დამტკიცების პროცესებზე და შეადგენს 5,608 ათას აშშ დოლარს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი.. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელი ჭითაწყარი. კომპანიის საქმიანობის ადგილმდებარეობაც საქართველოშია, ზუგდიდის რაიონში.

წარსადგენი ვალუტა.. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხოციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის სექტორი გამოცხადებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და მთავრობის დაფინანსება, ისევე როგორც ინსტიტუციური მხარდაჭერა არსებითია.

USAID– მა წამოიწყო ხუთწლიანი გლობალური განვითარების ალიანსი (2015-2020) ფერერო ჯგუფთან ერთად, თხილის ინდუსტრიის პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად საქართველოში. ეს პარტნიორობა აუმჯობესებს თხილის პროდუქტიულობას და ხელს უწყობს ბაზრის კავშირებს, რითაც იზრდება თხილის სექტორის კონკურენტუნარიანობა. ინტერვენციები აძლიერებს GHGA- ს და HEPA- ს და უზრუნველყოფს ინოვაციურ მიდგომებს თხილის საწარმოო ჯაჭვში წარმოებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძრვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობის დადგენილება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია ფასს-ებთან და მომზადებულია საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 სექტემბერი. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, ფასს 1 ითხოვს 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ძალაში შესული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას ფასს-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით და ყველა ის პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია მის პირველ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე.

ფასს-ების პირველადი მიღება. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა რაიმე სახის ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. ამგვარად, შედარება და განმარტება იმისა, თუ როგორი გავლენა იქონია წინა პერიოდის სააღრიცხვო ჩარჩოდან ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შეფასებაზე და ფულად ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა სხვა ფასს-ების რეტროსპექტული გამოყენების სავალდებულო გამონაკლისები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „ფინანსური მოგების ან ხარჯი“-ს მუხლში/სხვა საოპერაციო მოგება/(ხარჯები), ნეტო“. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯები, ნეტო“. ყველა სხვა უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), ნეტო“.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 აგვისტო	**2018 წლის 31 აგვისტო**	**2017 წლის 1 სექტემბერი**
აშშ დოლარი 1 = ლარს	2.9457	2.5803	2.4301
ევრო 1 = ლარს	3.2523	3.0184	2.8809

ძირითადი საშუალებები.. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენასთან. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზირებულ სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი დგინდება მიღებული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
• შენობა-ნაგებობები	50 წელი
• მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	10-20 წელი
• საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	4-8 წელი
• ავტომობილები	4-10 წელი

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, იმ დაშვებით რომ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაში, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ნაყოფის მომცემ მცენარეებს, თხილის ხეებს, ნერგებს და დაუკრეფავ კულტურებს (თხილი). ნაყოფის მომცემი მცენარეები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები; ნერგები და დაუკრეფავი კულტურები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივები.

*ნაყოფის მომცემი მცენარეები.*ნაყოფის მომცემი მცენარეები განისაზღვრება როგორც ცოცხალი მცენარე, რომელიც გამოიყენება სასოფლო სამეურნეო ნაწარმის წარმოებაში ან მიწოდებაში, მოსალოდნელია, რომ ნაყოფს აწარმოებს ერთ პერიოდზე მეტჯერ და გააჩნია მცირე ალბათობა იმისა, რომ გაიყიდება როგორც სოფლის მეურნეობის ნაწარმი, გარდა შემთხვევითი მიზერული რაოდენობის გაყიდვებისა. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხით, საჭიროებისამებრ. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება ისევე, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები მანამ, სანამ ისინი არიან იმ მდგომარეობაში და პირობებში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელობის მიერ განზრახული გზით ოპერირება, სანამ ისინი არ მიაღწევენ მოწიფულობას. მოსალოდნელია, რომ კომპანიის თხილის ხეები სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას დაიწყებს დარგვიდან 4 წლის შემდეგ, თუმცა მაქსიმალურ მოსავლიანობას დარგვიდან 7-8 წლის შემდეგ მიაღწევს და ამ მომენტისთვის დაუსრულებელი ნაყოფის მომცემი მცენარეები გადავა ნაყოფის მომცემ მცენარეებში. თხილის ხეების ცვეთა გამოანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის - 50 წლის განმავლობაში.

ნერგები. ნერგები კლასიფიცირდება, როგორც მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ნერგების უმეტესობა იყიდება მესამე მხარეებზე. ნერგები აღირიცხება რეალური ღირებულებით, შემცირებული მოსავლის აღებისას დადგენილი რეალიზაციის ხარჯებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია. კომპანიის სოფლის მეურნეობის პროდუქციას წარმოადგენს თხილი. მოსავლის აღებისას, სოფლის მეუორნეობის პროდუქცია კლასიფიცირებულია გასაყიდ მარაგებში და თავდაპირველად ფასდება მათი რეალური ღირებულებით, შემცირებული მოსავლის აღებისას დადგენილი რეალიზაციის ხარჯებით.

მოსავალი, რომელიც ჯერ არ აღებულა. წლის ბოლოს, მოსავალი, რომელიც ჯერ არ არის აღებული ფასდება შემდგომ პერიოდში აღებული ფაქტობრივი რაოდენობის საფუძველზე, სექტემბერ-ოქტომბერში. ჯერ არ აღებული მოსავალი ფასდება რეალური ღირებულებით, შემცირებული დადგენილი რეალიზაციის ხარჯებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების შემოსულობა თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარაგების ცვლილებებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულებები მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება ბოლო გარიგებების საბაზრო ფასების საფუძველზე და მინიჭებული აქვს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე -2 დონის კატეგორია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის საფასური მოსავლის აღების დროს განისაზღვრება გაწეული ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება („AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით" შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია: (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი"); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი"); თუ არც (i) და არც (ii) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა" ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით" ("FVTPL"), "რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულებით ("AC"). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია:(i) კომპანიის დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელზე, და (ii) ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის გამოყენებას ყველა სავაჭრო მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფის ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით)

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები)) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნაროობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის პროცენტისა და ჯარიმების თვალსაზრისით შესაბამისად აღირიცხება ფინანსურ ხარჯებში და სხვა შემოსულობებში/(ზარალში), წმინდად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შემავალი დღგ, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების საგნების შეძენას, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით. იმ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარჯი, რომელიც ბიოლოგიური აქტივიდან არის გადატანილი, წარმოადგენს მის რეალურ ღირებულებას, შემცირებული მოსავლის აღებისას რეალიზაციის ღირებულებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება დამავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი დამავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

მრავალი მოვალეობის შემთხვევაში, იმის ალბათობა, რომ საჭირო იქნება რესურსების გასვლა ანგარიშსწორებისათვის, განისაზღვრება მთლიანობაში მოვალეობების ჯგუფის გათვალისწინებით. კომპანია გაყიდული პროდუქციის, რომლის საგარანტიო ვადა არ არის ამოწურული, შეკეთების ან შეცვლის შეფასებულ ვალდებულებას აღიარებს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ანარიცხი გამოითვლება შეკეთებებისა და შეცვლის წარსული ისტორიის საფუძველზე.

როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდუვალია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი გადაცემულია, ანუ საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების მდგომარეობა ამოიწურა ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 60 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი.

მოთხოვნა აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, იმიტომ, რომ მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა დასტური კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიამ 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის 39,108 ათასი ლარის წმინდა ზარალი განიცადა. კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდობა დამოკიდებული იქნება კომპანიის მფლობელის მხრიდან მხარდაჭერაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ამგვარი მხარდაჭერა კომპანიას საშუალებას მისცემს განახორციელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში ოპერაციების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე (იხ. შენიშვნა 23). შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც ეხება აღრიცხული აქტივების თანხების ანაზღაურებას და კლასიფიკაციას და იმ ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც შესაძლოა აუცილებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს გააგრძელოს მიმდინარე მოვლენა.

ბიოლოგიური აქტივების გაუფასურება. აქტივების ანაზღაურებადი მოცულობის დადგენა ნაწილობრივ უნდა ემყარებოდეს ხელმძრვანელობის შეფასებებს, მათ შორის, მომავალი წარმადობის შეფასებებს, სამომავლო საბაზრო და გარემოსდაცვითი მდგომარეობების აქტივებისა და დაშვებების ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობებს. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს..კომპანიამ მფლობელისაგან აიღო უპროცენტო სესხი, რომელიც სრულად გადახდილი უნდა იყოს დაფარვის ვადის ამოწურვის შემდეგ. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, არის თუ არა პირობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების პირობების საფუძველზე. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხის ვადები და პირობები განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები:(a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება,

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 307 ათასი ლარით ზრდა/შემცირება.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარებისთვის ფასდება გადაცემისას, ისე თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. სხვა გამოყენების უფლებით აქტივები ფასდება იჯარის ვალდებულების თანხით მიღებისას (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დაგროვილი დანახარჯებით). 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა იჯარის ვალდებულებები.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით " - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 28-ში "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში " (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯული ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე..

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდგეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმს შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას, შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართვას ის გადასვლის პროცესს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 დაკავშირებული მხარეები

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2019 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	უშუალო მშობელი კომპანია	215,128	288,196	247,041
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	საბოლოო მშობელი კომპანია	818	225	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	290	51	49

6 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი	**ურთიერთობა**	**2019**	**2018**
საქონლის გაყიდვა (შენიშვნა 15)	უშუალო მშობელი კომპანია	11,820	7,370
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	62	-
ინფორმაცია, კონსულტაცია და სხვა პროფესიული მომსახურება (შენიშვნა 16)	საბოლოო მშობელი კომპანია	1,002	735
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	52	248

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელი პირების (მმართველი ქვეყანაში) ხელფასები, მოკლევადიანი ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 1,107 ათას ლარს (2018: 463 ათასი ლარი).

7 ბიოლოგიური აქტივები

ათასი ლარი	ნაყოფის მომცემი მცენარეები	დაუსრულებელი ნაყოფის მომცემი მცენარეები	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	66,846	54,088	120,934
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(16,945)	(14,525)	(31,470)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	**49,901**	**39,563**	**89,464**
დამატებები	111	4,222	4,333
ტრანსფერები	11,423	(11,423)	-
ცვეთის ხარჯი	(1,715)	-	(1,715)
გაუფასურების ხარჯი	(24,254)	(13,097)	(37,351)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**35,466**	**19,265**	**54,731**
თვითღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	78,380	46,887	125,267
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(42,914)	(27,622)	(70,536)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს	**35,466**	**19,265**	**54,731**
დამატებები	82	2,581	2,663
ტრანსფერები	6,934	(6,934)	-
ცვეთის ხარჯი	(1,075)	-	(1,075)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**41,407**	**14,912**	**56,319**
თვითღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	85,396	42,534	127,930
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(43,989)	(27,622)	(71,611)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**41,407**	**14,912**	**56,319**

2018 წელს გაუფასურების ტესტის შედეგად აღიარდა გაუფასურების ზარალი, რომელიც აღწერილია ქვემოთ:

მოვლენები და გარემოებები, რომლებიც იწვევენ გაუფასურებას. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობთ ხელმძღვანელობამ გამოავლინა მაჩვენებლები იმის, რომ კომპანიის აქტივები შესაძლებელია გაუფასურურებული ყოფილიყო, რადგან ბიოლოგიურ აქტივებს რამოდენიმე მიწის ნაკვეთზე არ ჰქონდა საკმარისი მოსავლიანობა. გაუფასურების მიმოხილვაში გაუფასურების მთავარი გამომწვევი იყო გარკვეულ ლოკაციებზე იმაზე უფრო დაბალი მოსავლიანობა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო (გათვალისწინებული იყო ასევე სხვა მაჩვენებლები, როგორებიცაა ნიადაგის ანალიზი, დრენაჟების და ქარის წინაღობების არსებობა და ა.შ.).

7 ბიოლოგიური აქტივები (გაგრძელება)

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები იმ მიწის ნაკვეთებთან ერთად, რომელზეც ეს ბიოლოგიური აქტივები იზრდება, წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს ("CGU"), რომლის დანიშნულებაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების განვითარება, გადამუშავება და გაყიდვაა.

ანაზღაურებადი ღირებულება.. გაუფასურების ტესტის მოდელი მოიცავს სამომავლო მოსავლიანობის პროგნოზს 2019-დან 2022 წლამდე პერიოდში, რომელიც ეფუძნება სამანქანო სწავლების ალგორითმს, რომელიც იყენებს კლიმატურ და ნიადაგის მდგომარეობას და მოსავლიანობის ისტორიულ ჩანაწერებს. ბიოლოგიური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც აქვს არასაკმარისი საწარმოო მოსავლიანობა, განისაზღვრა რომ არის ნული.

მიწების რეალური ღირებულება, რომელიც საბაზრო მიდგომით განისაზღვრა, უფრო მაღალი იყო ვიდრე საბალანსო ღირებულება. ამგვარად, მიწა არ გაუფასურებულა.

გაუფასურების ზარალი. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება განისაზღვრა როგორც უფრო მაღალი ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება. შესაბამისი გაუფასურების ხარჯი - 37,351 ათასი ლარი აღიარდა 2018 წლის განმავლობაში.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	ავტომობი-ლები	CIP*	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	35,349	8,826	1,137	17,625	100	63,037
დაგროვილი ცვეთა	(2,066)	(2,363)	(623)	(10,283)	-	(15,335)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 სექტემბერი	**33,283**	**6,463**	**514**	**7,342**	**100**	**47,702**
დამატებები	884	1,283	182	619	614	3,582
ტრანსფერები	37	-	-	-	(37)	-
გასვლები	(5)	(128)	(1)	(101)	-	(235)
ცვეთის ხარჯი	(602)	(682)	(150)	(1,664)	-	(3,098)
გასვლისას ამოღებული	1	77	-	94	-	172
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტო	**33,598**	**7,013**	**545**	**6,290**	**677**	**48,123**
თვითღირებულება 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	36,265	9,981	1,318	18,143	677	66,384
დაგროვილი ცვეთა	(2,667)	(2,968)	(773)	(11,853)	-	(18,261)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 აგვისტო	**33,598**	**7,013**	**545**	**6,290**	**677**	**48,123**
დამატებები	440	815	78	75	-	1,408
ტრანსფერები	615	-	-	-	(615)	-
გასვლები	-	-	(72)	-	-	(72)
ცვეთის ხარჯი	(582)	(764)	(151)	(1,576)	-	(3,073)
გასვლისას ამოღებული	-	-	64	-	-	64
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტო	**34,071**	**7,064**	**464**	**4,789**	**62**	**46,450**
თვითღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	37,320	10,796	1,324	18,218	62	67,720
დაგროვილი ცვეთა	(3,249)	(3,732)	(860)	(13,429)	-	(21,270)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 აგვისტოს	**34,071**	**7,064**	**464**	**4,789**	**62**	**46,450**

(*) CIP – დაუმთავრებელი მშენებლობა

გარკვეულ მიწის ნაკვეთებს არ გააჩნიათ განსაზღვრული სამომავლო გამოყენება.

9 მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
თხილი	1,343	6,494	3,574
მასალები და ნედლეული	6,182	5,530	5,660
ნერგები	771	1,613	1,647
სულ მარაგები	**8,296**	**13,637**	**10,881**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეუორნეობის პროდუქციის წარმოება და შემდგომში გაყიდვაა. სოფლის მეუორნეობის პროდუქციის მოსავლის აღება ხორციელდება ყოველწლიურად, ივლისი-სექტემბრის პერიოდში. თხილი აღიარდება მხოლოდ მოსავლის აღებისას.

2019 წელს, კომპანიამ აიღო 555 ტონა თხილის მოსავალი (2018: 1,594 ტონა). 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 326 ტონა თხილის მოსავალი იყო აუღებელი (2018 წლის 31 აგვისტო: 345 ტონა, 2017 წლის 1 სექტემბერი: 345 ტონა).

მოძრაობები მარაგებში კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	თხილი	ნერგები	მასალები და ნედლეული	სულ
2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით	**3,574**	**1,647**	**5,660**	**10,881**
შესყიდვები	1,384	-	7,164	8,548
გამოყენებული მასალები და ნედლეული	-	-	(4,090)	(4,090)
შემოსულობა თხილის თავდაპირველი აღიარებისას	8,798	-	-	8,798
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(7,655)	(946)	(141)	(8,742)
მარაგების ანარიცხები	-	(432)	(728)	(1,160)
სხვა მოძრაობა	393	-	-	393
სულ ცვლილებები მარაგებში, აღიარებული მოგება-ზარალში	**1,536**	**(1,378)**	**(869)**	**(711)**
კაპიტალიზაციის შედეგად ზრდა ნერგებში	-	1,344	-	1,344
ნერგებისა და ნაყოფის მომცემ მცენარეებზე კაპიტალიზაცია	-	-	(1,855)	(1,855)
ძირითადი საშუალებების კაპიტალიზაცია	-	-	(480)	(480)
2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	**6,494**	**1,613**	**5,530**	**13,637**
შესყიდვები	2,477	-	5,276	7,753
გამოყენებული მასალები და ნედლეული	-	-	(3,965)	(3,965)
შემოსულობა თხილის თავდაპირველი აღიარებისას	3,208	-	-	3,208
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(10,728)	(761)	(89)	(11,578)
მარაგების ანარიცხები	-	(555)	-	(555)
სხვა მოძრაობა	(108)	-	856	748
სულ ცვლილებები მარაგებში, აღიარებული მოგება-ზარალში	**(7,628)**	**(1,316)**	**767**	**(8,177)**
ზრდა ნერგებში კაპიტალიზაციის შედეგად	-	437	-	437
ნერგებისა და ნაყოფის მომცემ მცენარეებზე კაპიტალიზაცია	-	37	(1,426)	(1,389)
2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	**1,343**	**771**	**6,182**	**8,296**

10 ავანსად გადახდილი ან დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
დღგ	7,756	5,834	8,385
სხვა გადასახადები	(207)	(154)	(1,349)
სულ ავანსად გადახდილი ან დაბრუნებადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	**7,549**	**5,680**	**7,036**

ხელმძღვანელობამ კომპანიის საგადასახადო ნაშთები წარმოადგინა წმინდა საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის 407-ე ბრძანები მიხედვით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყარო, თხილის გაყიდვები, თავისუფალია გადასახდელი დღგ-ით დაბეგვრისაგან და ამავდროულად ინარჩუნებს დღგ-ის ჩათვლის უფლებას. ამრიგად, კომპანიამ დააგროვა მნიშვნელოვანი დღგ-ს აქტივი, რომელიც ამოღებულია საგადასახადო ორგანოებიდან კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე და საგადასახადო ორგანოების თანხმობის საფუძველზე.

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
ფული ხელზე	6	4	12
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები			
- *ლარში დენომინირებული*	501	823	699
- *ევროში დენომინირებული*	5,710	5,795	1,401
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**6,217**	**6,622**	**2,112**

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები ინახება ბანკში, რომელსაც გააჩნია "B რეიტინგი" Fitch რეიტინგების საფუძველზე.

12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახულ ნომინალურ კაპიტალს. 2007 წლის 20 მარტის დათარიღებული წესდების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 500 ათასი აშშ დოლარით (რაც 853 ათასი ლარის ეკვივალენტია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად). კომპანიის მფლობელის დადგენილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა ფულადი სახსრების შენატანების ხარჯზე, რაც შეადგენდა 935 ათას აშშ დოლარს და 5,614 ათას ევროს (რაც ეკვივალენტია 1,573 ათასი და 12,939 ათასი ლარის გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად).

13 ნასესხები სახსრები

კომპანიის ნასესხები სახსრები წარმოადგენს დაკავშირებული მხარეების სესხებს მიღებული უშუალო მშობელი კომპანიისგან. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სესხი უპროცენტო იყო და დაფარვის ვადა გაუვიდა 2008 წლის 27 ივნისს.

მშობელ კომპანიასთან ახალი სესხის შესწორების მიხედვით (რომელიც დათარიღებულია 2018 წლის 19 ივლისით და შესწორდა 2019 წლის მაისში), სესხის მთლიანი ლიმიტის ოდენობა გაიზარდა 104,500 ათას ევრომდე, ხოლო დაფარვის ვადა გაგრძელდა 2025 წლის 20 ივლისამდე.

სესხი მშობელი კომპანიისგან უპროცენტოა. კომპანიამ საქართველოში არსებული მსგავსი სესხების საბაზრო განაკვეთი გამოიყენა, რაც ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციას და რეალური ღირებულების შესაფასებლად დაადგინა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 7,1%-დან 7,3%-მდე შუალედში. უშუალო მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხის რეალური ღირებულების შეფასების გავლენა 108,873 ათასი ლარის ოდენობით პირდაპირ აღირიცხა კაპიტალში.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია იმ ვალდებულებების ანალიზი, რომელიც საფინანსო საქმიანობიდან არის წარმოქმნილი და ასევე ასახავს კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები წარმოადგენს იმ მუხლებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	**2019**	**2018**
1 სექტემბრის მდგომარეობით	**288,196**	**247,041**
დამატებები წლის განმავლობაში	14,270	29,859
სავალუტო ზარალი, წმინდა	17,427	11,296
რეალური ღირებულების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას	(108,873)	-
საპროცენტო დანახარჯი	4,108	-
31 აგვისტოს მდგომარეობით	**215,128**	**288,196**

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	**2019 წლის 31 აგვისტო**	**2018 წლის 31 აგვისტო**	**2017 წლის 1 სექტემბერი**
სავაჭრო ვალდებულებები	(1,661)	(2,155)	(1,832)
დარიცხული მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	(603)	(677)	(2,297)
სხვა ვალდებულებები	-	(1)	(518)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**(2,264)**	**(2,833)**	**(4,647)**

15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	**2019**	**2018**
დაკავშირებული მხარისთვის თხილის მიყიდვა	11,820	7,370
დაკავშირებული მხარისთვის ნერგების მიყიდვა	1,421	1,326
მესამე მხარისთვის თხილის მიყიდვა	590	737
სხვა გაყიდვები	11	136
სულ ამონაგები	**13,842**	**9,569**

16 სხვა საოპერაციო ხარჯი

ათასი ლარი	2019	2018
თხილის მტვრევის ხარჯი	(1,532)	(1,229)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(1,482)	(1,322)
შენატანი GHGA-სთვის (შენიშვნა 1)	(1,290)	(636)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,069)	(1,559)
ტრანსპორტირების ხარჯები	(284)	(141)
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	(260)	(362)
სადაზღვევო ხარჯები	(223)	(272)
კომუნიკაციების ხარჯი	(201)	(180)
მოსავლის აღების მომსახურების ხარჯი	(138)	(3,771)
კომუნალური ხარჯი	(137)	(91)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(56)	(65)
საოფისე მასალების ხარჯები	(35)	(21)
ჯარიმები და სანქციები	(2)	(85)
სხვა	(141)	(427)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(6,850)**	**(10,161)**

17 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2019	2018
სავალუტო ზარალი, წმინდა	(16,880)	(10,922)
საპროცენტო დანახარჯი დაკავშირებული მხარისაგან ნასესხები სახსრებისთვის	(4,108)	-
საბანკო ხარჯები	(72)	(101)
სულ ფინანსური ხარჯები	**(21,060)**	**(11,023)**

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევში არ ხდება დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების ვალდებულების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ, თუ სამი წელი არის გასული იმ წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს დარღვევა მოხდა.

ამ გარემოებებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელებული მრავალი სახის დაზღვევა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია თავისი ქონების, საქმიანობის შეფერხების დაზღვევა, ან მესამე მხარის ვალდებულება კომპანიის ქონების ან კომპანიის ოპერაციებთან მიმართებით ქონების შემთხვევით დაზიანებისათვის. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო დაზღვევას, იარსებებს გარკვეული აქტივების დაკარგვის ან განადგურების შედეგად კომპანიის საქმიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებითი უარყოფითი გავლენის რისკი.

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანია ჩართული იყო სამართალწარმოების პროცესში დაქირავებულ თანამშრომლებთან დასაქმების საკითხებზე. ანარიცხი არ შექმნილა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ზარალის წარმოქმნა ნაკლებად სავარაუდოა.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაჰენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობისთვის დაბალი რისკია, ვინაიდან გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება უშუალო მშობელი საწარმოსთვის. რეალიზაციის პირობები მესამე მხარეებისთვის, როგორც წესი, წინასწარი გადახდების საფუძველზე ხდება.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო	2017 წლის 1 სექტემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
- სავაჭრო მოთხოვნები	924	753	379
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	6,211	6,618	2,100
სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება	**7,135**	**7,371**	**2,479**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია..საანგარიშო პერიოდების ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% განთავსებული იყო ერთ ბანკში

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკებისადმი ეფუძნება ფაქტორში ცვლილებებს მაშინ, როდესაც დანარჩენი ფაქტორები რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და ცვლილებები გარკვეულ ფაქტორებში შესაძლოა ურთიერთკავშირში იყოს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	1,425	(1,639)	(212)
ევრო	5,710	(215,150	(209,440)
სულ	**7,135**	**(216,789)**	**(209,654)**

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით			2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	1,576	(2,156)	(580)	1,029	(1,827)	(798)
ევრო	5,795	(288,196)	(282,401)	1,450	(247,564)	(246,114)
სულ	**7,371**	**(290,352)**	**(282,981)**	**2,479**	**(249,391)**	**(246,912)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათასი ლარი	**2019**	**2018**
ევროს გამყარება 10%-ით	20,944	28,240
ევროს გაუფასურება 10%-ით	(20,944)	(28,240)

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიის წინაშეა ფინანსურ ვალდებულებების ანგარიშსწორებისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი. ლიკვიდობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. კომპანიის ლიკვიდობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძრვანელობას აფასებს, რომ ლიკვიდობის პორტფელი შესაძლებელია რეალიზდეს ფულად სახსრებად ერთ დღეში იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნები. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ვალდებულებებს, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში გამჟღავნებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 1,661 ათასი ლარის სავაჭრო ვალდებულებები (2018 წლის 31 აგვისტო: 2,156 ათასი ლარი, 2017 წლის 1 სექტემბერი: 2,350 ათასი ლარი) შედიოდა 'მოთხოვნის და 1 თვის ვადაზე ნაკლები ვადიან კატეგორიაში.2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ნასესხები სახსრების ბალანსი კლასიფიცირდა, როგორც გრძელვადიანი დაფარვის ვადებში შეტანილი ცვლილებების გამო. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სულ ნასესხები სახსრების ბალანსი 290, 352 ათასი ლარის ოდენობით შეტანილი იქნა „მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლების" დაფარვის ვადის კატეგორიაში (2017 წლის 1 სექტემბერი: 249,391 ათასი ლარი).

ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში. კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც გამოწვეულია გარემოს და კლიმატური ცვლილებებით და სასაქონლო ფასებით. თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მავნებლებისგან დასაცავად (ძირითადად პარაზიტი მწერებისგან დასაცავად), კომპანია რეგულარულად გადის კონსულტაციებს საქართველოს წამყვან გამოცდილ პროფესიონალ აგრონომებთან და სამთავრობო უწყებებთან.

კომპანია არ ითვალისწინებს, რომ მისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება და, შესაბამისად, მან არ გააფორმა წარმოებული ან სხვა ხელშეკრულებები, ფასების შემცირების რისკის მართვის მიზნით..

20 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. ქვემოთ ნაჩვენებია იმ აქტივებისა რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის:

20 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
სხვა ფინანსური აქტივები				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	924	**924**
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	6,211	-	**6,217**
სულ აქტივები	**6**	**6,211**	**924**	**7,141**
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები				
- დაკავშირებული მხარეების სესხები	-	-	(215,128)	**(215,128)**
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო დავალიანებები	-	-	(1,661)	**(1,661)**
სულ ვალდებულებები	**-**	**-**	**(216,789)**	**(216,789)**

ასი ლარი	2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	753	**753**	-	-	379	**379**
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	6,618	-	**6,622**	12	2,100	-	**2,112**
სულ აქტივები	**4**	**6,618**	**753**	**7,375**	**12**	**2,100**	**379**	**2,491**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- დაკავშირებული მხარეების სესხები	-	-	(288,196)	**(288,196)**	-	-	(247,041)	**(247,041)**
სხვა ფინანსური								
- სავაჭრო დავალიანებები	-	-	(2,156)	**(2,156)**	-	-	(2,350)	**(2,350)**
სულ ვალდებულებები	**-**	**-**	**(290,352)**	**(290,352)**	**-**	**-**	**(249,391)**	**(249,391)**

20 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.. მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრა კოტირებული მოთხოვნილი ფასის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.. მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და სავაჭრო ვალდებულებები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის ასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (a) სესხები და მოთხოვნები; (b) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (c) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (d) ფინანსური აქტივები FVTPL-ით (“FVTPL”). FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვე-კატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ გამიზნული. დამატებით, ფინანსური იჯარის მოტხოვნები ცალკე კატეგორიას წარმოადგენს.

22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19 -ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ორ თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მდგომარეობა ჯერ ისევ განვითარებად სიტუაციაშია, მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს გავლენების თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის თებერვალში კომპანიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დაიბრუნა დღგ 5 მილიონი ლარის ოდენობით.

2019 წლის 27 ნოემბერს კომპანიამ მშობელი კომპანიისგან დამატებით 1 მილიონი ევროს დაფინანსება მიიღო.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელიც მოითხოვდა ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან მასში გამჟღავნებას, ადგილი არ ჰქონია.

შპს აგრიჯორჯია

მმართველობითი ანგარიში – საქმიანობის მიმოხილვა

1. საწარმოს საქმიანობის განვითარება, ეფექტიანობა და პოზიცია

შპს აგრიჯორჯია სასოფლო სამეურნეო კომპანიაა, რომელიც დაარსდა საქართველოში 2007 წელს და წარმოადგენს Ferrero Trading LUX S.A-ს სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას. აგრიჯორჯია ძირთადი საქმიანობაა თხილის კულტივაცია ჯგუფისთვის შემდგომი რეალიზაციისთვის და წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშეს ადგილობრივ თხილის ბიზნესში. კომპანია ერთერთი საუკეთესო დამსაქმებელი და ინვესტორია საქართველოს დასავლეთ რეგიონში და ჩართულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში, რომელიც უკავშირდება ადგილობრივი ფერმერების მიერ თხილის პლანტაციების განვითარებას.

კომპანიის ყურადღება უპირველესად გამახვილებულია მაღალხარისხიან პროდუქტებზე და ბიზნესის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი აქტივობა: უკვე არსებული პლანტაციიდან თხილის მოსავლის აღება და სანერგე მეურნეობებში ნერგების მოყვანა და ადგილობრივი ფერმერებისთვის მიყიდვა. კომპანიას ძირითადად მოჰყავს ქართული და იტალიური შერჩეული ჯიშები სხვა ევროპულ ჯიშებთან ერთად. ბაღები და სანერგე მეურნეობები მდებარეობს სამეგრელოს რეგიონის 5 ნაწილში: ჭითაწყარი, ხიბულა, გეჯეთი, მარტვილი და წალენჯიხა - ძირითადი ბაზით ჭითაწყარში. საკუთრებაში არსებული მთლიანი ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 4,000 ჰა-ს, ხოლო ნარგავებიანი ტერიტორია დაახლოებით 3,50 ჰა-ს.

2018 წლიდან შპს აგრიჯორჯიამ წამოიწყო ოპტიმიზაციის პროგრამა, რომელიც მიმართულია დიდი მოცულობებით და მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად და ეკონომიკური რენტაბელობის უზრუნველყოფას ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად. პროგრამა მიზნად ისახავს 2,000 ჰექტარის მაქსიმალურად გამოყენებას და იმ 1,5 ჰექტარი პლანტაციის ექსპლუატაციიდან ამოღებას, რომლებზეც მოსავლიანობის მიზნები არ მიიღწევა.

იმის გათვალისწინებით, რომ პერიოდი, რომელიც სჭირდება თხილს სრულ სიმწიფემდე მისასვლელად, გრძელდება დიდხანს, დედა კომპანია გამოყოფს სესხს აგრიჯორჯიას სამუშაო კაპიტალის შესავსებად, ვიდრე არ მიაღწევს ნულოვანი მოგების წერტილს. კომპანიის შემოსავლები დიდწილად არის დამოკიდებული რეგიონალურ ბაზარზე თხილის ფასების ცვალებადობაზე, სადაც თურქეთი წარმოადგენს მთავარ მოთამაშეს ფასების განსაზღვისას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის აზიური ფაროსანას გავრცელება, რომელიც ზიანს აყენებს მოსავალს. 2019 საანგარიშო წელს აგრიჯორჯიას- ს შემოსავალმა 14 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 45% -ით მეტია 2018 წლის შემოსავალზე. შესაბამისი წლების წმინდა შედეგი იყო 39 მილიონი ლარის და 67 მილიონი ლარის ზარალი, რაც იმ შემცირების შედეგი იყო, რომელიც გამოიწვია კომპანიის პლანტაციების ოპტიმიზაციის პროგრამამ 2018 წელს.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

აგრიჯორჯიას– ს მთავარი მიზანია დედა კომპანიას მიაწოდოს მაღალი ხარისხის თხილი და წვლილი შეიტანოს საკონდიტრო ნაწარმის ნედლეულით უწყვეტ მომარაგებაში. ეს განსაზღვრავს კომპანიის სამომავლო აქტოვობებს, რაც პლანტაციებზე მავნებლების მიერ მიყენებული ზიანის გავლენის შემცირების ზომების გატარებაა.

როგორც რეგიონის გლობალური ეკოსისტემის ნაწილი, აგრიჯორჯია აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას სამთავრობო უწყებებთან, როგორიცაა სურსათის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე არასამთავრობო უწყებები, მაგალითად საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), რათა ადგილობრივ ფერმერებს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება მაღალხარისხიანი თხილის წარმოების და ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

კომპანია, როგორც ნაჭუჭიანი თხილის მიწოდების ჯაჭვის ერთერთი რგოლი, აგრძელებს რეგიონში თხილის საშრობი ცენტრების მშენებლობის დაფინანსებას.

3. საწარმოს მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა

აგრიჯორჯია შეზღუდული რაოდენობის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა, რაც მოიცავს ნიადაგის ანალიზს, ფოთლების ქსოვილის ტესტირებას, ნაყოფის ანალიზს, მოსაზრებებს დაავადებების მკურნალობის შესახებ. სამეცნიერო კვლევების ფუნქციები სრულდება საქართველოში თხილის კულტივაციის მხარდაჭერის განვითარების გეგმის შესაბამისად.

4. ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. მისი საქმიანობა კონცენტრირებულია სამეგრელოს რეგიონში-ჭითაწყარში, ხიბულაში, გეჯეთში, მარტვილში და წალენჯიხაში - საბაზისო და ადმინისტრაციული ოფისი კი მდებარეობს ჭითაწყარში, ზუგდიდის რაიონში.

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

	ათასი ლარი	**2019**	**2018**	**პროგრესის განმარტება**
1	შემოსავალი	13,842	9,569	რეგიონის ბაზარზე თხილის ფასების ცვალებადობის და გაყიდვების მოცულობის ცვლილების გამო
2	საოპერაციო ზარალი	(18,063)	(56,452)	2018 წელს კომპანიის პლანტაციების ოპტიმიზაციის პროგრამის გამო
3	წმინდა ზარალი	(39,108)	(67,443)	ზემოაღნიშნულის და სავალუტო კურსების რყევის გამო ლარი ევროსთან მიმართებასი
4	სესხი მშობელი კომპანიისგან	215,128	288,196	სესხი სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად ნულოვანი ზარალის წერტილამდე

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

		2019	**2018**	**პროგრესის განმარტება**
1	დროებით დასაქმებულების ოდენობა მოსავლის აღებისას	1,574	1,170	სხვაობა განპირობებულია 2018 წელს მოსავლის აღების აუთსორსინგით
2	მუდმივად დასაქმებულების საშუალო რაოდენობა	182	244	სხვაობა განპირობებულია 2019 წელს უსაფრთხოების სამსახურების აუთსორსინგით
3	თხილის მოსავლის აღება	555 ტონა	1,594 ტონა	სხვაობა განპირობებულია თხილნარების სიმწიფის ზრდით

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

შპს აგრიჯორჯიას სრულად ფლობს Ferrero Trading LUX S.A., რომელის მთლიანად ანაზღაურებული კაპიტალი შეადგენს 15 მილიონ ლარს. აქციების არ არის შესაძენად ხელმისაწვდომი.

7. წლიურ ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

2019 წელს აგრიჯორჯიამ 1.4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა ძირითად საშუალებებში, რაც მოიცავს საკუთარი ძალებით აშენებულ ქონებასაც.

ყოველდღიური საქმიანობის შედეგად, კომპანიას მნიშვნელოვანი დღგ აქტივი უგროვდება, რომელიც ანაზღაურდა შემდეგ ფისკალურ წელს.

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ აგრიჯორჯია არ განიცდის მნიშვნელოვან გაყიდვების მოცულობასთან დაკავშირებულ რისკს ბაზარზე თხილზე მუდმივი მოთხოვნის გათვალისწინებით, იგი მაინც ექცევა ფასის რისკების გავლების ქვეშ. ფასი, რა ფასადაც კომპანია ყიდის მის თხილს, განისაზღვრება გლობალური ფასის გათვალისწინებით. ამ ფასზე ძლიერ მოქმედებს თხილის მიწოდება თურქეთიდან. აგრიჯორჯიას გასაყიდმა ფასმა შესაძლოა მკვეთრი რყევა განიცადოს წლიდან წლამდე, რაზეც შეზღუდული კონტროლი აქვს კომპანიას.

კომპანია არის ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენის ქვეშ, დიდი ოდენობის უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ აგრიჯორჯიას- ს არსებითი შესყიდვები და პროდუქციის გაყიდვები ევროში ხორციელდება, ასევე ზეგავლენას ახდებს კომპანიაზე რომ იყოს დაქვემდებარებული სავალუტო კურსების ცვალებადობაზე.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის საკითხთან დაკავშირებით

ზოგადად სასოფლო-სამეურნეო წარმოება საწარმოო რისკის მაღალ დონეს გულისხმობს, რომელიც უკავშირდება ამინდს, მავნებლებს, დაავადებებს და ტექნოლოგიებსა და სამეურნეო და სხვა მართვის მახასიათებლებს, გენეტიკას, მანქანა-დანადგარების ეფექტურობასა და დახარჯული რესურსების ხარისხს. გარდა ამისა, ამჟამად საქართველოში გავრცელებულია აზიური ფაროსანა, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს თხილის წარმოებაზე არამარტო საქართველოში, არამედ რამოდენიმე მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში გლობალურად. მიღებული ზომები, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა სააგენტოებთან კოოპერაციით, არის ძიება სწორი ქიმიური მკურნალობის შერჩევის და აღნიშნულის გაზიარება ადგილობრივ ფერმერებთან.

კომპანიას ასევე აქვს მარაგების რისკი. კერძოდ, რეალიზაციამდე დასაწყობებული თხილი არის გაფუჭების რისკის ქვეშ. გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, თხილის გულების ფუმიგაცია ხორციელდება, რაც მარაგების მოძველების რისკის თავიდან არიდების საშუალებას იძლევა.

მარაგებთან დაკავშირებული კიდევ ერთი რისკია თხილის ნერგების და ხეების გახმობა. გახმობის კოეფიციენტი შეიძლება განსხვავდებოდეს თხილის ჯიშების მიხედვით და შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად, კლიმატი, ატმოსფერული პირობები, არასწორი დარგვა და

ა.შ.. რისკის აღმოფხვრის მთავარ ნაბიჯებს წარმოადგენს ხეების ზრდის მონიტორინგი, ამავდროულად ქარის ბარიერების და წყლის დრენაჟის სისტემების საშუალებით სათანადო დაცვა.

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19 -ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ორ თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. რადგან წინამდებარე მმართველობითი ანგარიშის გამოცემის დროს მდგომარეობა ჯერ ისევ განვითარებად სიტუაციაშია, მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გავლენების თავიდან ასაცილებლად გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს.

ხელი მოეწერა 2020 წლის 21 აპრილს

_____ _____

კოლინ ჰინჩლი

გენერალური მენეჯერი

ანდრეა ჩიკოლინი

შესყიდვები & HCo ფინანსური დირექტორი